

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
№2.9.13/10/134

ქ. თბილისი

18 სექტემბერი 2015 წელი

ერთის მხრივ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობა, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამ. №65 (შემდგომში „შემსყიდველი“), რაიონის გამგებლის – ზურაბ ჩიკვილაძის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „დომუსი ჯგუფი“ მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №38 (შემდგომში „მიმწოდებელი“), ხელმძღვანელის ზაზა ტურაბელიძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 ივლისის №04/12285 წერილის საფუძველზე, როგორც გადაუდებელი აუცილებლობა, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგ ზე:

1. შესყიდვის ობიექტი

1.1. შესყიდვის ობიექტია: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის ტერიტორიაზე 6. ჩხეიძის №46-ში, მე-2 სართულზე შესასვლელი ჩანგრული გადახურვის ფილის გამაგრების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება – 500 ლარი.

1.2. კლასიფიკატორის კოდი (CPV კოდი) 7130000/71320000

1.3. შესყიდვის ობიექტის – გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა მოცემულია ხელშეკრულების დანართში

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრა ლარებში ყველა გადასახადის ჩათვლით

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 500.00 (ხუთასი) ლარი 00 თეთრი.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები.

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღე

3.2. მიმწოდებელი ვალდებულია საპროექტო ზედამხედველობა გაუწიოს სამუშაოების მიმდინარეობას და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს საჭირო ცვლილებების მომზადება საპროექტო დოკუმენტაციაში, მოთხოვნიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში.

4. სამუშაოების შესრულების პირობები

4.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე, 2015 წლის 1 ნოემბრამდე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად „შემსყიდველს“ წარედგინება ანგარიშსწორებისათვის საჭირო ყველა სხვა დოკუმენტი.

5.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე შემსყიდველის მხრიდან პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ:

1) ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის გამგეობლის მოადგილე – ლევან ივანიშვილი.

2) ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის გამგეობის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და პროექტირების განყოფილების უფროსი- თემურ ბუზიაშვილი.

5.3. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობის და წუნდების მიზეზების მითითებით.

6. ხელშეკრულების ობიექტის ხარისხი და გარანტია

6.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს „მიმწოდებელს“ ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

6.2. შეტყობინების მიღების შემდეგ „მიმწოდებელი“ ვალდებულია შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში აღმოფხვრას არსებული დეფექტები საკუთარი ხარჯით. საგარანტიო პერიოდში მიმწოდებელს დაეკისრება, როგორც ხელშეკრულების ობიექტის დეფექტების აღმოფხვრა, ასევე

აღნიშნული დევექტების შედეგად შემსყიდველისა და მესამე პირებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

6.3. თუ „მიმწოდებელი“ ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებით მიღებული შეტყობინების შემდეგ არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს „მიმწოდებლის“ ხარჯით უზრუნველყოს არსებული დევექტების გამოსწორება.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

- 7.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში;
- 7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღლო ანგარიშსწორებით;
- 7.3. წინასწარი ანგარიშსწორება გათვალისწინებული არ არის.
- 7.4. ანგარიშსწორება „შემსყიდველის“ მიერ მოხდება ერთჯერადად, შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.2. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.
- 7.5. იმ შემთხვევაში თუ „მიმწოდებელი“ დაარღვევს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, „შემსყიდველი“ უფლებამოსილია უარი თქვას სანაცვლო ვალდებულების შესრულებაზე მიმწოდებლის მიერ პირგასამტეხლოს თანხის სრული ოდენობით დაფარვამდე.
- 7.6. ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

- 8.1. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
 - შეამოწმოს მიწოდებული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
 - განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პრობების დაცვაზე.
 - უარი თქვას უხარისხო სამუშაოს მიღებაზე.
- 8.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
 - წერილობით აცნობოს „მიმწოდებელს“ მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ.
 - მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
 - დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.
- 8.3. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
 - მოსთხოვოს „შემსყიდველს“ მიწოდებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
- 8.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
 - გააფრთხილოს „შემსყიდველი“ სამუშაოს მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ.
 - დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

- 9.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.
- 9.2. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინოს შესაბამისი საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.
- 9.3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მომსახურების გაწევის საბოლოო ვადის დარღვევის შემთხვევაში გადაუხადოს პირგასამტეხლო შემსყიდველს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5 %-ის ოდენობით.
- 9.4. წინარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების საბოლოო ვადის 10 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს შეუწყდება ხელშეკრულება და დაჯარიმდება ხელშეკრულების ღირებულების 5% -ის ოდენობით.
- 9.5. საჯარიმო სანქციით დაეკისრებული თანხა გადახდილი უნდა იქნეს მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

- 10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
- 10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

- 10.3. ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებას.
- 10.4. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 10.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.
- 10.6. ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

- 11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
- 11.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.
- 11.3. „შემსყიდველს“ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
- ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი მომსახურეობა ან მისი ნაწილი;
 - ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
- 11.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
- 11.5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
- ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
 - ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
 - გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;
 - დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- 11.6. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული მომსახურეობის ღირებულება.

12. ფორს-მაჟორი

- 12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორცაა წყაღდილობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწვეს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
- 12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
- 12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

- 13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
- 13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

- 14.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის“ მოთხოვნებთან.
- 14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ჩუღურეთის რაიონის გამგეობის მთავარი სპეციალისტი ლევან მახარაძე
- 14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ „შემსყიდველი“ დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ წუნდების მიზეზების მითითებით.
- 14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

- 15.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
- 15.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯითა და რისკით.
- 15.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ვერსიულად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმწვერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
- 15.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
- 15.5 ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.
- 15.6 მხარეები სრულად არიან პასუხისმგებელი მათ მიერ ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების სისწორეზე. რეკვიზიტების ცვლილების თაობაზე მეორე მხარეს ეცნობება წერილობით.
- 15.7 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის გავზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გავზავნის მეშვეობით. იმ შემთხვევაში თუ მხარისათვის შეტყობინების გადაცემა ვერ ხერხდება ხელშეკრულებაში აღნიშნულ მისამართზე იმის გამო, რომ მისამართი არასწორადაა მითითებული, შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად და შეტყობინებაში მითითებული ვადების ათვლა განხორციელდება საფოსტო გზავნილის შესაბამის მისამართზე წარდგენის მომდევნო დღიდან.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები.

„შემსყიდველი“
 ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის გამგეობა ს/კოდი: 202467320
 მის: დავით აღმაშენებლის გამზ №65
 ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა
 ა/ა № GE24NB0330100200165022
 ბანკის კოდი TRESGE22

„მიმწოდებელი“
 შ.პ.ს. „დომუსი ჯგუფი“
 ს/კოდი 205250422
 მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ №38
 სს „ბაზის ბანკი“
 ბანკის კოდი CBASGE22
 ა/ა GE86BS0000000019936868
 ტელ: 599 19 65 60

ზ. ჩიკვილაძე




ზ. ტურაბელიძე







ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

CHAIRMAN OF TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

თბილისი 0114, თავისუფლების მოედანი 2. ტელ: +995 (32) 2 15 92 92; www.sakrebulo.ge
FREEDOM SQUARE 2, 0114 TBILISI, GEORGIA; TEL: +995(32) 2 15 92 92; www.sakrebulo.ge

№ 15/15541, 04/15543
04/15544, 04/15815
04/15816, 04/15837
4/15859, 04/15973

„05“ სექტემბერი 2015 წ.

ქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს
მატონ დავით ნარმანიას

მატონ დავით,

განვიგებთ, რომ ქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა თქვენი 2015 წლის 24 აგვისტოს N7/1698 (ქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში რეგისტრაციის თარიღი და ნომერი: 25 აგვისტო, N04/15541), N7/1959 (ქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში რეგისტრაციის თარიღი და ნომერი: 25 აგვისტო, N04/15543), N7/1960 (ქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში რეგისტრაციის თარიღი და ნომერი: 25 აგვისტო, N04/15544), 2015 წლის 27 აგვისტოს N1/3025 (ქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში რეგისტრაციის თარიღი და ნომერი: 01 სექტემბერი, N04/15815), N1/3027 (ქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში რეგისტრაციის თარიღი და ნომერი: 01 სექტემბერი, N04/15816), 2015 წლის 31 აგვისტოს N7/3517 (ქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში რეგისტრაციის თარიღი და ნომერი: 01 სექტემბერი, N04/15857), N7/3518 (ქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში რეგისტრაციის თარიღი და ნომერი: 01 სექტემბერი, N04/15859) 2015 წლის 3 სექტემბერს N7/5405 (ქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში რეგისტრაციის თარიღი და ნომერი: 04 სექტემბერი, N04/15973) წერილები.

ამდგომარეობაში შექმნილია მდგომარეობა, რომელიც ეწინააღმდეგება ქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და განმარტებული შესაძლოა განსაკუთრებული ვალდებულებები დაქვემდებარება და ელექტრონული სახელმძღვანელო მატონის სხვა დამატებითი შესახებ სახელმძღვანელო შესაძლებლობის სააგენტოს თანხმობისა, 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად, გაძლიერებული წერილობითი თანხმობის, ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე, გამარტებული შესაძლებლობის თაობაზე:

1. ქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კომპიუტერული საკლავო სამსახურს მოეცეს წერილობითი თანხმობა ქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკლავო სამსახურს მოეცეს რეგისტრაციის წინსწრულად ჩადგოვა მუხლიდან სერიის საპროექტო მომსახურება და შესაბამისი სამსახური ვიზუალიზაციის კამპანიაში მუხლიდან (ფორს-მაჟორი);
2. ქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კომპიუტერული საკლავო სამსახურს მოეცეს წერილობითი თანხმობა ქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკლავო სამსახურს დაქვემდებარება მოეცეს რეგისტრაციის (ქვემოთ 7.1.1.5) აღყვანილობის სერიის საპროექტო დაქვემდებარება.

15743/05
07 09 15 2

მომსახურება და შესაბამისი სამუშაოები გაახორციელოს გამარტივებული შესყიდვით (ფორს-მაჟორი);

3 ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურს მიეცეს წერილობითი თანხმობა ქ.თბილისში, რუსთავეის გზატკეცილიდან ზემო ფონიჭალისკენ მიმავალი საავტომობილო მაგისტრალის გასწვრივ (სასაფლაოების მიმდებარედ) არსებული პოტენციურად გრავიტაციული კლდის მასისგან გაწმენდის სამუშაოები გაახორციელოს გამარტივებული შესყიდვით (ფორს-მაჟორი).

4 ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჩუღურეთის რაიონის გამგეობას მიეცეს წერილობითი თანხმობა ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ნ.ჩხეიძის ქ. N46-სა და გოგოლის ქ. N9-ში (ფართი 330,0მ.კვ) მდებარე საცხოვრებელ სახლებში ჩასატარებელი სამუშაოები გაახორციელოს გამარტივებული შესყიდვით (შესასრულებელი სამუშაოების სავარაუდო ღირებულება - 8901,40 ლარი, სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ღირებულება - 11737,90 ლარი).

5 ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჩუღურეთის რაიონის გამგეობას მიეცეს წერილობითი თანხმობა ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, გედევანიშვილის ქ. N27-ში მდებარე საცხოვრებელ სახლებში ჩასატარებელი გადახურვის სამუშაოები გაახორციელოს გამარტივებული შესყიდვით.

6 ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურს მიეცეს წერილობითი თანხმობა ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, პეკინის ქ. კორპუსი N36-ზე გამაგრება-გადლიერების წინმსწრებ-დამზღვევი სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება და შესაბამისი სამუშაოები გაახორციელოს გამარტივებული შესყიდვით.

7 ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურს მიეცეს წერილობითი თანხმობა ქ.თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი, V კვარტალში მდებარე N1 ავარიული სახლის მე-6 ბლოკზე გამაგრება-გადლიერების წინმსწრებ-დამზღვევი სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო მომსახურება და შესაბამისი სამუშაოები გაახორციელოს გამარტივებული შესყიდვით (ფორს-მაჟორი).

8 ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ნაძალადევის რაიონის გამგეობას მიეცეს წერილობითი თანხმობა ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, უიარაღის ქ. მე-2 შესახვევი N3-3ა-ში საყრდენი კედლის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები გაახორციელოს გამარტივებული შესყიდვით.

პატივისცემით,

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ალიბეგაშვილი

წერილი
სახელმწიფო შესყიდვის
(ხელშეკრულება №2.9.13/10/134 18.09.2015 წელი)
ბამარტივიანი შესყიდვის საშუალებით განხორციელებისას
ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების შესახებ.

ქ.თბილისი

18 სექტემბერი 2015 წელი

ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის გამგეობის მიერ 2015 წლის "18" სექტემბერს გაფორმებულ №2.9.13/10/134 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ - რაიონის ტერიტორიაზე, ნ. ჩხეიძის №46-ში, მე-2 სართულზე შესასვლელი ჩანგრეული გადახურვის ფილის გამაგრების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

რაიონის გამგებელი



ნ. ჩხეიძე

გამგეობის ინფრასტრუქტურული
პროექტების მართვისა და
პროექტირების განყოფილების
უფროსი

თ. ბუზიაშვილი



გამგეობის ინფრასტრუქტურული
პროექტების მართვისა და
პროექტირების განყოფილების
მთ. სპეციალისტი



მ. საკვიალიანი